ხელშეკრულება № 882

15 დეკემბერი 2010წ. ქ. ქუთაისი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ქ.ქუთაისის მერია, მერი გია თევდორაძის სახით, მისამართი: ქ.ქუთაისი რუსთაველის გამზირი. №3, ტელ. 4-54-54 (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს.„ჯორჯიან გრუპი", მის: ზერი თევდორეს ქუჩა №14, ტელ: 7-58-00 (შემდგომში მიმწოდებელი):

შორის და მიღწეული იქნა ურთიერთ შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მითითებული ობიექტის, კერძოდ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ქ ქუთაისის პოლიციის სამართველოს, ქ ქუთაისის პოლიციის I-I, II-ე, III-ე, IV-ე, V-ე განყოფილებების შენობის გათბობის მიწოდების საექსპლუატაციო მომსახურება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.

4. მომსახურების ვადები

4.1 ხელშეკრუკლება ძალაში შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში შესაბამისი ვალდებულების დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ.

4.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს მომსახურება 2010 წლის 15 დეკემბერიდან 2011 წლის 15 იანვრამდე.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.2 შესყიდვის ობიექტის (მომსახურება) ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მომწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის (მომსახურება) წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 უნაღდო, ანგარიშსწორების ფორმა სტანდარტული.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება სამუშაოს შესრულების შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება მოვალეობანი

8.1 მომწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქვაბე სისტემების, ბოილერების, გაზისა და დიზელის სანათურების, საცირკულაციო, წყლის რეზერვუარის (შევსება-კონტროლი) მომსახურეობა და მოსახურეობის პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახული ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 მომსახურების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს საურავი მომსახურების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ფორს მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.
10.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთახმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მომწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველს (მის წარმომადგენელს) უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს შესყიდვის ობიექტი (მომსახურება), რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

12.2 მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებითუზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

12.3 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12.4 შემსყიდველი უფლება მოსილია საქონლის მიღების დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების კომენდატს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მომწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობით შესწორებების გარდა.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

შემსყიდველი:

ქ. ქუთაისს მერი

გია თევდორაძე

ხელმოწერა _____

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ ჯორჯიან გრუპი "-ს დირექტორი:

გიორგი ხურციძე

ხელმოწერა _____

საბანკო რეკვიზიტები
ბანკი:
სს „საქართველოს ბანკი"-ს ქუთაისის ფილიალი, კოდი №BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი № 412672273
ანგარიშსწორების ანგარიში № GE68BG0000000877002000

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
სამხარეო მთავარ სამმართველოს უფროსი,
პოლიციეს ვიცეპოლკოვნიკი

მამუკა დათიაშვილი

ხელისმოწერა _____